



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7155/01
09/07/2021

7155-01-2-202107091645



შპს „ბ.პ. ტრანსის“ დირექტორს ბიჭიკო პაიკიძეს
ელ. ფოსტა: Teimuraz-1955@mail.ru

ბატონო ბიჭიკო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 ივნისის N11520 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. უწერაში ქვა-ლორდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც სამინისტროს 2021 წლის 28 მაისის N5359/01 წერილით გეცნობათ, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის მოცემული, კერძოდ,

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მიზნებისთვის წყალაღება მოხდება მდ. რიონის ნაპირას არსებული 20 მ³ მოცულობის ბრუნვითი წყალმომარაგების აუზიდან. საწარმოში დღიურად დაგეგმილია 800 მ³, ხოლო წელიწადში 168000 მ³ წყლის გამოყენება. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოო მიზნებისთვის გამოყენებული წყალი სალექარის გავლით ჩაიშვება ბრუნვით წყალმომარაგების აუზში, საიდანაც ტუმბოს მეშვეობით ისევ სამსხვრევ დანადგარებს მიეწოდება. ვინაიდან, საწარმოში მოქმედებს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, დაზუსტებას საჭიროებს რა რაოდენობის წყალაღება დაგეგმილი მდინარიდან (დღეში, წელიწადში);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან მდ. რიონი დაშორებულია 70 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უშუალოდ დანადგარის განთავსების ადგილიდან მდ. რიონის კალაპოტამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 45 მეტრს. ამასთან, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. რიონის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 50 მეტრს კალაპოტის კიდიდან, შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდინარის წყალდაცვით ზოლში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი მდინარის კალაპოტიდან

საპროექტო ტერიტორიამდე ან/და დანადგარის განთავსების ადგილამდე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, მიწის სამუშაოების წარმოებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. დაზუსტებას საჭიროებს რა რაოდენობით ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა გათვალისწინებული, მათ შორის მათი შემდგომი მართვის საკითხი (მოხდება მათი მხოლოდ დასაწყობება, გატანა ტერიტორიიდან თუ სხვა მხრივ გამოყენება);
- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 800-850 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები (ს/კ 88.09.23.170; 88.09.23.023). ამასთან, დანადგარის განთავსებიდან დაახლოებით 350 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ნიგავზები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებულ პუნქტამდე;
- სამინისტროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე, სამსხვრევი დანადგარის განთავსებიდან დაახლოებით 14-15 მეტრში განთავსებულია შპს „ბ.პ. ტრანსის“ საკუთრებაში არსებული ბეტონის კვანძის საწარმო, ხოლო დაახლოებით 200-250 მეტრში მდებარეობს შპს „დაგი +“-ის ბეტონის საწარმო. აღნიშნულის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების რისკებად განიხილება: ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოების გათვალისწინებით.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

